


A horizontal row of seven large, stylized letters from a Georgian manuscript. The letters are written in a bold, rounded script. The first letter on the left has a small tail extending downwards. The second letter features a prominent vertical stroke on its right side. The third letter has a small loop at the top. The fourth letter is very tall and slender. The fifth letter has a small loop at the bottom. The sixth letter is tall with a small loop at the top. The seventh letter is the tallest in the row, with a small loop at the bottom.



მე გარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის
დაჭიშვის ცხოვარობათვის. (იოან. 10—11).

ვალე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუპ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტეირთ-მძიმენი და მე განვისტენო ღქვენ. (მათ. 11—28).

Nº 6

1883-1892

15—31 ମୂର୍ତ୍ତିର.

12 თვით . . . 6 მან. | 12 თვით . . . 6 მან
 6 — . . . 3 — 6 — . . . 4 —
 ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით
 Въ Көнтили, въ редакциите „Мижемси“ и „Пастырь“.

სტაცია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაემარცხოს.

ଶ୍ରୀକୃତିଙ୍କୁ ମିଳିଲେଖିବାନ ଲୁପ୍ତଶଳ୍ପ ହେବାରେ ଡାଢ଼ିଏଣିଲେଖିବା ଓ ତାଙ୍କୁ ମେନିଟ ଡାଇଗ୍ନୋଫିଲେଖିବାନ.

«ნასწავლ ხალხში და უსწავლელ ში, ქალაქებში
და სოფლებში ცხადათ და აშკარად ისმის მწუხარება
და სამდურავი ხაწყულთაგან მოძღვართა გაჩუქრებაზე
და ყოველნაირი მოძღვრობის და სიტყვის მოსპობაზე
ეყრდნობანი მოძღვრობის და სიტყვის მოსპობაზე
და კარგი დროს, როდესაც საქართველოს ხალხს ნიადაგ
ესმოდა თავიანთ მოძღვართაგან დარიგება და ქადაგე-
ბა ყკლესის კათედრიდამ. აგრძელებისაუკუნე
წესს და დანართებს და დამოუკიდებელ შინაგა

სრულდება, რაც მოძლვრებითი სიტყვა შესწყდა
ეკლესიებში. მაგრამ ეს სამწერალო მოვლენა მარტო
ჩენებში კი არ არის შენიშვნული; ესევე იყო
რუსეთშიც ამ ბოლო დრომდე, მაგრამ დღეს იქ
სულ სხვა წესებს ვხედავთ და სულ სხვა ზომებია
მოღებული სამღვდელოებისაგან, თუმცა დღესაც
ბეჭრა იქ, რომ სამღვდელოებას ემღურის ქადაგი—
ბითი სიტყვის წარმოუთქმელობისათვის.

რუსეთის მმართვაში, როგორც ანგარიშებილგან
სხანს, ირიცხება ორმოც-და-ორი ათასი შტატის
ეკვლესია და ოც-და-ცხრამეტი ათასამდე ეკვლესის



კრებული. ძნელი დასაჯერებელია, რამ ამოდენი სამღვდელოება ხალხს არ უქადაგებდეს და არ მოძღვრობდეს. ჩევნს საქართველოშიაც, სადაც ორი ათასამდე ირიცხებიან მწყემსი, არ შეიძლება სულ გაჩიტებული იყვნენ მწყემსი და ხალხს მღვდელ-მოქმედების გარდა არ ასწავლილენ და არ მოძღვრობდნენ; მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა მქადაგებელი და მოძღვარი ძლიერ მცირენი არიან და მოთვან მოტანილი სარგებლობაც, გამოტეხილი უნდა ესთქვათ, შეუმნიერებელი და მცირე ნაყოფირა.

პაელე მოციქულ-ს სიტყვებს: «ჰქადაგეთ სიტყვა, ჰელადეგ ჭამითი უქანად, ამხილე, შერისხენ და ნუკვინის-ეც ყოველთა სულგრძელებითა და მოძღვრებითა», ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცე. ული სულიერ მწყემსთავან. ხალხი გონებით ნიადაგ ერთ წერტილზედ არა სდგას. მისი გონებათი ცხოვრება ნიადაგ მოძრაობაშია; წარსული ცხოვრების და კვირვებით იგი პროგრესიულად წინ ადგამს ბიჯს. ხშირად მოხდება ისიც, რომ რომელთამე მიზეზთა წყალობით ხალხის გონებითი პროგრესიული მოძრაობა შესდგეს, შექერდეს დროებითად, მაგრამ ამ მიზეზთა მოსპობისათანავე ხალხის გონებითი მოძრაობა ხელახლად იწყებს წინ სვლას.

როგორც კერძო კაცს, ისე მთელს საზოგადოებას ესაჭიროება სულიერი საზრდო. როგორც სასმელი და საჭმელი არის ჩევნი სხეულისათვის საჭირო, ისე გონებისათვის მიუკილებადაც საჭიროა სულიერი საზრდო. ესთქვათ, ჰური და ხურკი, ან სხვა ჩევულებრივი საზრდო შემუკლდა კაცს, ის მამინ უთუოდ სხვა საჭმელს შეეჩერეთ. კაცის სხეული ნიადაგ საზრდოს თხოულობს და ჩევულებრივი საზრდოს მოსპობის დროს კაცი საჭმელად ხვარის ხასქერქს, ბალას, ფოთოლს და სხვათა...

მევვე ითქმის სულიერს საზრდოზედაც. კაცის გონება ვერ დაცხრება; ის ითხოვს სულიერს საზრდოს კეთილს და მისთვის სასარგებლოს. თუ ამისთანა საზრდოს ვერ იშოვის ჩევნი გონება, მაშინ უნებურად სხვა საზრდოს მიეჩვენა იგი; შეიძლებაც ეს საზრდო სასარგებლო არ გამოდგეს მისთვის, მაგრამ რა ჰქნას, მისდა უნებურად იკვებება ცუდი სულიერი საზრდოთი. რატომ აფრთხილებს მოციქული პავლე ტიმოთეს, რომ ნიადაგ ასწავლის, ნიადაგ იქადგოს «ეშითი ჭამამდე?» მისთვის, რომ „ჭეშმარიტებისაგან სასმენელი თვისნი გარე მოცეცნენ, და ზღაპრებსა მიეცნენ» (ეპი. პავ. 4—4).

ასეთი ბრძნული გაფრთხილება საჭირო იყო იმ დროს, როცა სტამბებიან არსებობდნენ; მაშინ ყოველს ამბავს ან სიტყვით გადასცემდნენ ერთი მეორეს, ან ხელ-ნაწერით. ეს და რას ეხელავთ ჩევნ? თათქმის ყველა ქალაქებში და დაბეჭდში მოიჩახებიან გამართული სტამბები; ყოველ გვარი წიგნების ბეჭდვა გააღვილებულია და დაბეჭდილი წიგნების მოპოვებაც ყველასათვის საადვილოა. ენა ვერ გამოსთვავმს, როგორი შინაარსის ზღაპრები და მოთხოვნები იძებულებიან ეხლა. «ყარამანიანების» მეორე და მესამე გამოცემას თხოვილობს ხალხი!... რისთვის მასთვის, რამ სხვა შესაფერი სულიერი საზრდო არა აქვს. მრავალჯერ აღუძრავს ამის შესახებ კითხვა ადგილობითი ეურნალ-გაზეთებს და გამოუცხადებიათ სურვილი, რომ ხალხის გონება არ იკვებებოდეს ამისთანა შეუსაბამო მოთხოვნებით და ზღაპრებით... მივაკციეროთ თუ არა ამას ყურადღება ჩევნ — მწყემსებმა? რა საშუალება ვიხმარეთ სახარების სწავლის გაერცელებისთვის ხალხში? ემოძღვრობთ, თუ არა ჩევნ ჩევნი გალისა მებრ სამწყსოთა? ესარგებლობთ თუ არა ჩევნ ეხლანდელი სტამბებით? ვაწოდებთ თუ არა სულიერ საზრდოს სამწყსოთა, როდესაც ვხედავთ, რომ სამწყსონი იკვებებიან ცუდი სულიერი საზრდოთი? სამწუხაროდ, არც ერთ ამ ზემო მოყვანილ კოხვებზედ არ შეგვიძლია ჩევნ რიგიანი პასუხის მოგება... .

მთელს საქართველოში მხოლოდ ზოგიერთ ქალაქებში ისმის ქადაგებითი სიტყვა; მხოლოდ ამ ქალაქებში შეუძლიათ მლოცველებს სულიერად ისაზრდოებონ თავიანთი მწყემ-მთავრების დარიგებით. სხვა ყველა ქალაქების და სოფლების მცხოვრებინ მოკლებული არიან ქადაგებითი სიტყვის გაგონებას.

საზოგადოდ რომ სთქმას, კაცია, ჩევნი სამღვდელოება იმოდენად დამზადება არ არის ამ სისუსტეში, რამდენათაც იგი პირველ შემთხვევაში ეჩვენება კაცს. მრავალი მიზეზზე უშელის ხელს ჩევნს სამღვდელოებას, რომ მან რიგიანად დამწყოს თავისი სამწყსო, პირველი და უმთავრესი მიზეზი სამღვდელოების სისუსტისა ქადაგებითი საქმეში, არის ჩევნი სამღვდელოების რიგიანად მოუმზადებლობა და უსწავლელობა; მეორე მიზეზია, ჩევნი ქართველი სასულიერო ლიტურულის დაცემა და მასთან ბეჭრი სხვა მრავალი, დამნაშავენი არიან ისინი, რომელთაც შეუძლიათ თავის ნიჭით, სწავლით და შეძლებით ამ საქმეს

დაეხმარონ, შაგრამ არ დასდევენ ამისთანა საქმეს და თავისი ფალანტი მიწაში დაუმარხავთ. თორემ როგორ შეგვიძლია უძრავოთ იმ მწყემსთ, რომელნიც თავიანთი სწავლა-განათლებით ერთს წერტილზე სდგან გლოცებთან.

ჩევნ—მწყემსთა დროი მოფიქრება გემართებს ამ შემთხვევაში. ჩევნს თავს ვერ გავიმართდებთ ვერც უსწავლელობით, ვერც ნიკითიერი შეუძლებლობით და ვერც სხვა რაიმე მიზეზით. რადგანაც კი მოვიღეთ ჩევნს თავზე ეს მოვალეობა, ვალებულნი ვართ ვიყრნეთ მწყემსნი კეთილნი და ყოველი ღონის-ძიება ვის. მართ ჩევნდამი ჩ წმუნებული სამწყოს კეთილად დამწყსისთვის. თუ ჩევნ ჯერ კრდევ ვერ შეგვთნია ქადაგებითი სიტყვის საჭიროება ტაძრებში, მათ მაინც მივაჭიროთ ყურადღება, რომელნც განათლებით გაცილებით ჩევნზე წინ დგანან და რომელნიც არაფერს არ შეურავენ, რომ ქადაგებითი სიტყვა გაძლიერებულ იქმნება ეკლესიებში და რომელნიც ცდილობენ, რომ ყოველი ქადაგება, რომელც ეკლესიაში წარმოითქმება, წარეთხონ იმათთაც, რომელთაც ვერ შეიძლება ტაძარში მოსმენა, ანუ ისეთ ადგილზე არის, რომ ბევრიც მოინდომოს, ვერ წავა ეკლესიაში ქადაგების და წირვის მოსახმენად. მაგრამ ფრანგების ნასწავლმა სამღვდელოებაში ამათთვისაც გამოიგონა იმისთანა ზომანი და საშუალებანი, რომელთა წყალობით ყველას შეუძლია ეკლესიებში წარმოთქმული ქადაგების წაკითხვა და მოსმენა. ის ქადაგებანი, რომელნც ეკლესიებში უნდა წარმოითქვან, რამდენიმე ასი და ათასი ეკლესიაში წინდაწინე აქვსთ დაბეჭდილი და ეკლესიებში წარმოთქმის შემდევ ეს დაბეჭდილი წიგნაკები ურიგდება გარეშე ხალხს ან უფასოდ დაან ძლიერ ზომერ ფასად. გინც მოიპოვებს ამ დაბეჭდილ ქადაგებას, ჯერ თვითონ წაიკითხავს და შემდევ სხვას უკითხავს და ან სიტყვიერად გადასცემს. ამ სახით ის სიტყვა-ქადაგება, რომელიც ეკლესიაში მოისმინა ხალხმა, საქვეყნოდ ვრცელდება და ყველამ იცის. პირველად ქადაგების სიტყვის ბეჭვდა შემოილო ბეტონიში სასახლის კარის ეკლესიის ერთმა მღვდელმა. ის თავის ქადაგებას წარმოთქმამდის ბეჭდული ექვესას ეკლესილიანობად და წარმოთქმის შემდევ ამ დაბეჭდილ ქადაგებას ურიგდება ხალხს. ბოლოს დროს ეს მღვდელი თავის ქადაგებას ორი-ათას ეკლესილიარამდე ბეჭდა.

მოქმედება ჰქონდა ქადაგებითი სიტყვას ამ ერთი საუკუნის წინად, მაშ რა დიდი გავლენა ექნებოდა ქრისტიანებშე ისეთი საეკკლესიო ორატორების სწავლა-მოძღვრებას, როგორებიც იყნენ ვასილი დიდი, გრიგორი ლოთას-მეტყველი და იოანნე იქრიპირი, მნიშობნი ქრისტიანობისა პირველს საუკუნეში.

დასავლეთი ეკრობის სამღვდელოების აზრით შედელის მოვალეობაში ქადაგებითი სიტყვას პირველი ადგილი უკავია. ფრანგების ეკლესიებში ხალხს ყოველთვის ესმის მღვდლის ქადაგება. განსაკუთრებით პროტესტონტების და ლოთრიანების წირვა-ლოცვას,

თივე ქმის მღვდლის ქადაგება და სწავლებითი სიტყვა შეაღების. პირველად მღვდლი წაიკითხავს მოკლე ლოცვას და იგალობებენ რასმეს; შემდევ დაიწყება ქადაგება და ამით თავდება ყოველთვის მათი წირვა და ლოცვაც.

ზარდა ამისა სასურველია, რომ ტაძრებში წარმოთქმული ქადაგების მოსმენა და წაკითხვა შეიძლოს იმანაც, რომელსაც რაიმე მიზეზისა გამო არ შეუძლია ეკლესიაში მისი მოსმენა. ვევრა კაცს არ შეუძლია ეკლესიაში სიარული. ზოგს ისეთი თანამდებობა აქვს, ანუ ისეთ ადგილზე არის, რომ ბევრიც მოინდომოს, ვერ წავა ეკლესიაში ქადაგების და წირვის მოსახმენად. მაგრამ ფრანგების ნასწავლმა სამღვდელოებაში ამათთვისაც გამოიგონა იმისთანა ზომანი და საშუალებანი, რომელთა წყალობით ყველას შეუძლია ეკლესიებში წარმოთქმული ქადაგების წაკითხვა და მოსმენა. ის ქადაგებანი, რომელნც ეკლესიებში უნდა წარმოითქვან, რამდენიმე ასი და ათასი ეკლესილიაში წინდაწინე აქვსთ დაბეჭდილი და ეკლესიებში წარმოთქმის შემდევ ეს დაბეჭდილი წიგნაკები ურიგდება გარეშე ხალხს ან უფასოდ დაან ძლიერ ზომერ ფასად. გინც მოიპოვებს ამ დაბეჭდილ ქადაგებას, ჯერ თვითონ წაიკითხავს და შემდევ სხვას უკითხავს და ან სიტყვიერად გადასცემს. ამ სახით ის სიტყვა-ქადაგება, რომელიც ეკლესიაში მოისმინა ხალხმა, საქვეყნოდ ვრცელდება და ყველამ იცის. პირველად ქადაგების სიტყვის ბეჭვდა შემოილო ბეტონიში სასახლის კარის ეკლესიის ერთმა მღვდელმა. ის თავის ქადაგებას წარმოთქმამდის ბეჭდული ექვესას ეკლესილიანობად და წარმოთქმის შემდევ ამ დაბეჭდილ ქადაგებას ურიგდება ხალხს. ბოლოს დროს ეს მღვდელი თავის ქადაგებას ორი-ათას ეკლესილიარამდე ბეჭდა.

მაგრამ მაინც კიდევ საჭიროდ დაინახეს ამ წარმოთქმულ ქადაგებათა დაბეჭდება. ეს კეთილი საქმეებითავა ამავე ტაძრის სტარისტამ დესტ. სტატსკი სოვეტ-ნიკმა ბ. ბოლდონ-ვიჩიმა, რომელიც თავის ხარჯით ბეჭდებს წიგნაკებად ამ ტაძრში წარმოთქმულ ქადა-

გებათა შემდეგი სათაურით: «ისაკიევის კათედრა». ხალხში ამ წიგნაკების მოპოვების მსურველინი ათასო. ბით და ათიათასობით აღმაჩენდნენ. დღეს პეტერბურგში და მოსკოვში მუდამ იძექდებიან შესანიშნავი ქადაგებანი და ურიგდება ხალხს, რომელიც დიდის ხიამოვნებით ყიდულობს ამ წიგნაკებს და კათედრლობს.

ჩეენ წინათაც ესთქეთ და ეხლაც ეიმეორებთ, რომ ჩეენი სამღვდელოება ძლიერ გულგრილად უყურებს მოძღვრებითი სიტყვას. უშთავრესი ყურადღება მღვდელ-მოქმედების აღსრულებაზე აქვს მიქცეული, თუმცა ქადაგებითი სიტყვა სამღვდელოების მიუცილებელ მოვალეობას შეადგენს. მოყლს საქართველოში, როგორც ზემოთაც მოვისხერეთ, ზოგიერთს ეკლესიებში ისმის ქადაგება. დანარჩენი სამღვდელოება კრძალვით გაჩერებულა და შესტერის თავიანთ სამწყსოთ. მართალია, ბევრს უსწავლელობა, ბევრს მოუმზადებლობა და სხვა ათასანირი მაჩვეზები უშლიან ხელს, მაგრამ რას უყურებენ ისინი, რომელთაც მაღალ სასწავლებლებში სწავლა მიუღიათ და ან სასულიერო სემინარიაში რიგინაც დაუმთავრებიათ სწავლა? სოფლის სამღვდელოებას გარს არტყია ათასანირი სოფლის ცხოვრების უსიამოვნება და ნაკლებულობა; იგი მოკლებულია, რომ სასულიერო ლიტერატურას თვალ-ური აღენოს. ადვილი საქმე არ არის სოფლის მღვდლისათვის ქადაგების შედგენა და წერა, როდესაც ნიეთიერი მდგომარეობა და სიღარიბე გულს უწყლავს და შეილების აღზრდის საქვე ათასანირ შემაწუხებელ ფიქრს ჰბადავს მის გულში.

მაგრამ რა უნდა ესთქვათ ქალაქების სამღვდელოებაზე? მას ხომ ცველაუერი ხელს უწყობს. იგი უშეტესად უზრუნველ ყოფილია. თავიანთი ნიეთიერი მდგომარეობით და განათლებით ქალაქების სამღვდელოება გზის მაჩვენებელი უნდა იყოს სოფლის მღვდლებისათვის. ისინი წინ უნდა უძლოდენ სოფლის სამღვდელოებას თავიანთი მწერების მოვალეობის აღსრულების საქმეში.

ჩეენი ხალხის და სამღვდელოების ამისთანა სამწუხარო მდგომარეობამ აღძრა ჩეენში სურვილი, დაგვეარსებია სასულიერო ორგანი. ამისათვის ჩეენ ვეცდებით, შეძლისა დაგვარად, დავექმაროთ სამღვდელოებას მათი მოვალეობის აღსრულების და ქადაგებითი სიტყვის გაძლიერების საქმეში. «მწერები»-ს ცველა ნომერში

ნახავს მკითხველი სამაგალითო ქადაგებითი სიტყვებს და მოძღვრებას, რომელთა მახედებით ცველანი აღვიღლად შეიძლება დაარიცონ სამწყსონი თვისინი და ამით გაავრცელონ ხალხში სი სარწმუნოება, კეთილ-ზნეობა და სწავლა-მეცნიერება, და მოსპონ მრავალი ცრულ-მორჩილობანი და ცუდი ჩეულებანი, რომელნიც საჭარალონი არიან ჩეენი ხალხისათვის როგორც ნიეთიერის, ისე სარწმუნოებრივ-ზნეობითი მხრით».

აი რას ესწერდით ჩეენ ამ რაც წლის წინად. ამ სიტყვით მივმართეთ ჩეენს ცაში ცემა-1-ს № 8-ში ჩეენს თანამომებებს—მწერებთ. ეხლაც მთლად მოვცავს ეს სიტყვა, რომ შეეიტყოთ, თუ რა მავიქმედეთ ჩეენ მის შემდევ ამ ხელნებული საგნის შესახებ და რა გერჩება კიდევ გაუკეთებელი.

ვგონებ, ბევრი საბუთების დასახელება არ დაგვჭრდეს, დაუმტკიცოთ მკითხველებს, რომ ჩეენს გამოცემებში, განსაკუთრებით ქართული გამოცემის „მწერები“-ს სარწმუნოებრივ-ზნეობითი განყოფილებაში იძექდებოდა ბევრი სიტყვები და მოძღვრებანი, რომ ამით ხელი შევვეწყო ქადაგებითი სიტყვის გაძლიერებისათვის. იშვიათად გამოდის ნომერი, რომელშიაც ჩეენ დაბეჭდილი არა გვერნდეს, იმავე მიზნისათვის, რომელიმე წმიდანის ცხოვრების აღწერილობა, ანუ განმარტებული არ ყოს მინშენელობა რომელიმე შესანიშავი დღესასწაულისა. და უოველივე ეს, დრო და დრო, იძექდებოდა წიგნაკებად და ძლიერ იაფ ფასად ურიგდებოდა მსურველო. დღეს თიოქმის აღწერილი და დაბეჭდილი გვაქს დღესასწაულები და უშთავრესი წმიდანების ცხოვრების აღწერა და ცველას შეუძლია ისარგებლოს ამ წიგნაკებით.

მაგრამ როგორ და რამდენად საჩერებლობენ ამ წიგნაკებით? დიახ, სარგებლობენ და ჩეენც არ შეგვიძლია ეუარცვოთ ის სასიამოვნო ფაქტი, რომ ჩეენმა თანამომებებმა საქმაოდ შეავნეს ქადაგებითი სიტყვის საჭიროება და, თავის შეძლებისა დაგვარ, კიდეც მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს. სარწმუნოებრივ-ზნეობითი შინაარსის წიგნაკებიც საქმაოდ გაერტყელდა ხალხში; ხალხში გაიღიძა კითხვის სურვილმა და საზოგადოდ სულიერი საზრდოს მოთხ აენილებამ, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ესთქვათ, რომ დღესაც ბევრია სამღვდელოების უმეტესი ნაწილისაგან სასურველი; ბევრი ეკლესიებია, სადაც მწერების არ უქადაგებენ თავაზთ სამწყსოთ და არც ურჩევენ მჩევლს სარწმუნო-

ებრივ-ზნეობითი შინარსის წიგნაკების კითხვას. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამას გრიშავდეო მარტო გაუნათლებელს მწყემსებში. არა, ამ ნაკლ ს გამჩნევთ ჩვენ იმისთანა მწყემსებშიაც, სამწუხარო დ, რომელთაც საქართველოს განათლება აქვთ მიღებული, მაგრამ ხალისი არა აქვთ ერახურან კეთილ ს საჭმეს.

კიდევ ვიმეორებთ, რომ ხალქში მოახერხებულად აღ არ სურვილი კითხვისა და ამ ხერცი, რომ დამაკავებულებლად საერო უწყებაში არსდებიან წიგნების გამომცემელი ამხანაგობანი; მაგრამ რომ ხალხს მიაწოდონ სარწმუნოებრივ-ზნეობითი შინარსის წიგნები, ამის შესახებ კი ვერაფერ ცდას ვერ ვხედავთ სამღვდელოებაში.

შოვლად წმ. ლეონი მშობლის სახელისაზე დაარსებული მმობის მონდობილებით, ჩვენმა რედაქტიამ 1886 წელში, ხუთი თოების განმავლობაში, დამჭვიდა 52,000 წიგნაკა სარწმუნოებრივ-ზნეობითი შინარსისა. ეს წიგნაკება დარღვეული პოლს საექანოსოში ორ კაჟკად ცალი. მაგრამ 1886 წელში ამ წიგნაკების ბეჭვდა და მღვდლებზე დარიგება მოისპო.

სასულიერო მთავრობა და აღგილებითი მღვდლები მოხვეული ნების აძლევენ სამღვდელოებას, რომ მათ მოპოვონ ეს წიგნაკები უფრო შეძლებული ყველებითისათვის და დაურიგონ ხალხს საკათხავად; მაგრამ, სამწუხაროდ, სამღვდელოება არ სარგებლობს ამ მშვენიერი განკარგულებით. საიატრელია, რომ ეს მშვენიერი განკარგულება სისრულეში მოვიდეს.

„საეკულესიო უწყებათა უკანასკნელს ნომრებში ჩვენ წავიკითხეთ სტატია ერთი სოფლის მღვდლისა, რომელიც ამბობს, რომ საჭიროა ვალდებულებად დაედგინოს ეპარქიალურ სამასწავლებლო რჩევათა და მათ განყოფილებათ, რომ მათ სარწმუნოებრივ-ზნეობითი შინარსის წიგნაკები გაუგზავნონ ბლადობინ ებს, რომ ამ უკანასკნელებმა ეს წიგნები დაურიგონ ეკვლესიებს. მაგრამ ბლადობინებს რა უშლის, რომ თვითონ მათ გამოიწერონ ეს წიგნაკები მათდ ამი

რწმუნებული სამრეცლოებისათვის? მეორედ ეს პატივცემული სოფლის მღვდლი იძლევა რჩევას, რომელიც სწორედ რომ ლირისი მიბაძებისა. იგი ურჩევს სამღვდელოებას, რომ საქართველო და შავრის ქალაქებში დარსებულ იქნების საწყობები.

კიდევ ორიოდე სიტყვა ქადაგებითი სიტყვის შესახებ ჩვენში. როგორც ზემოთაც ესთქვით, ქადაგებითი სიტყვა, უწინდელთან უელანებითა, ძლიერ გაძლიერდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუნოად, აი რას გამჩნევთ ზოგან: დაიწყება თუ არა ქადაგება, მღლოცველები გარედ გამოდიან; გევონება, ხალხს საჭიროდ არ მიაჩნია ქადაგების მოსმენაო; მაგრამ თუ ამის მიზეზს გამოიკითხავთ, შეიტყობთ, რომ ამაში თვითონ მქადაგებლები არიან დამაშავენი: ხშირად მქადაგებელი ისე ხმა დაბლად ლაპარაკობს, რომ ათ ნაბიჯზე სრულებით არ ისმის მისი ლაპარაკი, ან კითხულობს რეულში ისეთის ენით, რომელიც მღლოცველებს არ ესმისთ. რასაკეირველია, ასეთი ქადაგება საინტერესო არ იქნება მსმენელთათვის და ისინიც გამოვლენ ტარიღებან. ამიტომ საჭიროა, მქადაგებელმა უურადლება მიაქციოს თავის ქადაგებას და შეიტყოს, თუ როგორ მოქმედებს მისი მოძღვრება ხალხზე. და რომ ქადაგებამ ჯეროვანი გავლენა იქმნიოს მაშვილებებზე; საჭიროა, მქადაგებელმა პირველად თვითონ უეითვისოს ეს მოძღვრება, შეიმუშაოს იგი. რიგიანად და მერე წარმოსითქვას ხალხის წინაშე. თუ მქადაგებელი თავის ნაწერის მოყოლას ზეპირად ერ მოახერხებს და იძულებულია რეულში წაკითხოს, როგორ შეუძლია მოსთხოვოს მსმენელებს, რომ მათ ერთი გავონებით შეითვისონ მისგან წაკითხული ქადაგება.

მრთი სატყეით ფრიად საჭიროა, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ შეტი უურადლება მიაქციოს ქადაგებითი სიტყვას და თავისი მოძღვრებით განამტკიცოს ხალხში სარწმუნოება და კუთილ-ზნეობა.

და. დამბაშიძე.

ବୀରମାତ୍ରାଙ୍କିଳାଠି ଏବାନନ୍ଦା

(ရုပ်ဂျေလျှော့စာ *)

საქმეები 1810—1820 წლებისა და ამ საქმეებში
მიტროპოლიტის დავითის მონაწილეობა.

*) ab. «*đđđđđđđđđ*»-5. № 5.

ონი ჯარი და მესამშლერე მცხოვრებლებს მთავარ-
მართებელმა, მიაღებინა ფიციც. მთავარ-მართებელის
ასეთმა გამებულმა მოქმედებამ დაფიქტა მეფე. მან
ხელი მოაწერა პირობას და ფიციც მიიღო 25 აპრილს
1814 წელსა. მაგრამ მეფე სოლომონს ამის შემდე-
გაც სურდა რაიმე ხერხი ეხმარა და უარი ეოქვა თა-
ვის პირობაზე. ამ საქმე როგორ იყო: მეფეს დაახ-
ლოებული ორ დასად იყვნენ გაყოფილნი; ერთ
დასს, თავად ზურბა წერეთლის მეთაურობით, სამ-
შობლოს სიკეთისათვის, ჰსურდა იმერეთის შეერთება
რუსეთთან; მეორეს კი ძალიან ეშინოდა ამ შეერ-
თებისა, რადგან ამ შეერთებასთან ერთად დაეკარგე-
ბოდათ მათ ძალა და მინშენელობა მეფის წინაშე.
ამ უკანასკნელი დასის უფრო გაელენიანი პირი
რუსეთის მთავრობისაგან ბლომად ღიებდენ საჩუქრებს.
მათ არც ამ საჩუქრების დაკარგვა ჰსურდათ და
ცდილობდენ, ისე წაყვანათ საქმე, რომ, თუ
კერ გაიმარჯვებდენ, ცუდად არ მოსვლოდათ საქმე,
ამიტომ მაინც და მაინც არ ეწინააღმდეგებოდენ
მეფეს. მაგრამ ამავე დროს ურჩიეს მეფეს ყალბი
ძეჭდის მოჭრა და ამ ბეჭდით დაბეჭვდა ფიცის ფურ-
ცლისა. ამ სიყალბის დანიშნულება ის იყო, რომ
მოხერხებული შემთხვევებს დროს გამოეცხადებით,
რომ მეფეს არას დროს არ მიუღია ფიცი რუსეთის
კევშევრცობაზე და თუ ფიცის ფურცელზე იმე-
ქონება მეფის ბეჭდი, იგი არის ყალბიო. მაგრამ ეს
განჩხევა შერტყეს და, როცა მეფეს ამ ბეჭდის დასმა
უნდოდა პირობაზე, მოახსენეს მას, რომ ასეთ საჭი-
რო ქაღალდზე მარტო ბეჭდის დასმა არ კმარა, უსა-
თურდ თქვენ საკუთრად უნდა მოაწერათ ხელიო.
მეფემ მოაწერა ხელი ფიცის ფურცელზე თავად ცი-
კანონების თანადასწრებით. თუმცა მეფემ ფიციც
მიიღო რუსეთის ქვეწევრლომობაზე და პირობაზედაც
მოაწერა ხელი, მაგრამ მან არ აღასრულა ეს პირობა.
მეფემ მის ტოვე ქუთაისი და გაერდა ვარციხეს. მეფეს
თან გაპყვა მისი ძე ალექსანდრე და თაორებთან და-
წყეს მოლაპარაკება. ხუთი წელიწადი ცდილობდენ
თავადი ციციანოვი, გრაფი გუდოვიჩი და გენერალი
შერმასკოვი მეფე სოლომონისათვის შეეგონებიათ,
რომ იგი მოქადაციულიყო პირობის თანახმად. იგინი
ურჩევდენ მეფეს შემდეგს: გაეგზავნა მეფეს დე-
პუტატები უმაღლეს სასახლეში, დაეპროტეზია ამანა-
ტები, დაბრუნებულიყო ქუთასში და უმთავრესად, რ-
ობრევდენ მეფეს; რომ რუსეთის მტრებთან მოესპოლა

პარაკი და კავშირის დაკავება. მეფე სოლომონ მეორე დაპირი და ყუჯელივე ამ მოთხოვნილებათა აღსრულებას, მაგრამ დაპირება არ აღასრულა და ამის მიზე-ზად დაასახელა შემდეგი საბულები: 1) ციციანოვმა ძალათი მომაწერია ხელი პირობაზე და ამიტომ სთხოვდა ამ პირობის შეცვლას; 2) მასარ დაუბრუნეს თავად დადიანისაგან ლექსუმი; 3) ქუთაისში ჩაყენებს ბათალიონი და სალდათები დააბინავეს მის სასახლეში, რომელსაც სალდათები იკლებენ და აოხრებენ; 4) ერთმა აქ მყოფმა უფროსთავანმა გაა-ლო ჩემის ბრძანებით დაბეჭდილი დუქანი და საქა-ნელი დაუბრუნა იმ ვაჭარს, რომელიც მეფეს ჰსურდა დაესაჯა, რადგან ბევრს ცუდ საქმეებს ჩადიოდა მის წინააღმდეგ და მუდამ აბეზლებდა მას რუსეთის მთავ-რობის წინაშე და 5) სალდათებმა სცემეს ერთ გამო-ჩენილს თავადს, რომელსაც მთლად გაუტესეს თავი. ამ მეფის სოლომონის ყველა საყედური. ამ საჩი-ვარზე მეფეს მიუგეს: 1) იმ პირობის გამოცელა, რო-მელიც დამტკიცებულია ფიცით, არ შეიძლება; 2) რომ საქმე ლექსუმის დაბრუნების შესახებ, იმ პირო-ბის ძალით, დეპუტატების ხელით უნდა წარდგინდეს უმაღლესად; 3) თუ მეფე დაბრუნდება ქუთაისში, ბათალიონს გაშინებენ გაიყვანენ ქუთაისიდგან, ხოლო სასახლეს სრულიად შეკეთებენ ხაზინის ხარჯით და 4) ზოგიერთ პირთა შესახებ, რომელთაც მეფეს შე-ურაცხება მიაყენეს, დაინიშნება სასტიკი გამოძიება. ამ პირობაზე მეფე არ დათანხმდა. ამასვე უზრიელენ მეფეს მისი მახლობელი პირი. ზოლოს მეფე სო-ლომონმა იწყო რუსეთის ჯარის წინააღმდეგ მოქმე-დება. მეფე დაარწმუნეს, რომ რუსეთი იმერეთის სა-თორეთს უთმობსო.

როცა მთავარ-მართებელმა დაინახა, რომ მეფე სოლომონი შერიგების მაგიერ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის ჯარს, მან საჩქაროდ მისწერა პოლკოვნიკს სიმონოვის შესეოდა იმერეთს ჯარით. სიმონოვი თანახმად ბრძანებისა შევიდა ქუთაისში და 20 თე-ბერებალს 1810 წელს გამოაცხადა, რომ მეფე სო-ლომონს ჩამორთმეული აქეს მისი ღირსებათ, და ხალხს უბრძანა რუსეთის ქვეშერდომო-ბაზე ფიცის მიღება. ხალხს ფიცის მიღებაზე ური არ განუტაცებია. ამასობაში რუსეთის ჯარი მივიდა ვარიცხში, გაეიდა მდინარე უვი-რილაში. მეფე სოლომონი ვარცხიდგან გაიქცა ბაღდათში და დაბინავდა ხანის ხეობაში. ბოლოს

მეფემ იხმო თავისთან სიმონოვის, რომ პირისპირ მოლაპარაკებოდა მასს. სიმონოვი წაეიდა მეფესთან და თან იახლა ოთხი კაცი და გადაჭრით გამოუტანდა მეფეს, რომ იმერეთი თავის დღეში არ დაუბრუნდება მას. მხოლოდ ურჩია, რომ მეფეს თავის თავი შეე-ბრალებია რუსეთის ხელმწიფისათვის. მეფე დათანხმდა და ისურეა პირდაპირ მოლაპარაკებოდა გენერალ ტერმითსოეს, მაგრამ ეშინოდა კი, რომ ის გზაში არ დაეჭირათ და ტყვესავით არ წაეყვანათ თბილისში. სიმონოვიჩმა თავის ჯარის კაცების თანადასწრებით მისცა მეფეს ფიცი, რომ იმას გზაში არაფერი არ გაუჭირდება და არც არაენ მასზე ძალადობას იხმარსო. ასეთი პირობის შემდეგ მეფე სოლომონი გაემზადა თბილისისაკენ და თან გაჰყენა 500 ცხენოსანი კაცი; გზაში მეფე დაღონდა და ხანობდა, რომ სიმონოვის რჩევა მიიღო. მან განძრახა გაქცევა. ამასობაში ჩაეიღნენ ქართლის ერთ სოფელს ღირბს, ამ სოფ-ლიდამ მეფემ დამით დააპირა გაქცევა ოსეოში. მაგრამ მეფის გან ძახება შეიტყეს და გორიდამ, სადაც სო-ლომონს შევთხვდა მთავარ-მართებელი, მეფე დატ-ყვევებული წაიყვანეს თბილისში. თბილისში მეფეს პატივით დაუხვდენ, კარგად ინახვდნენ და ცდი-ლობდნენ, რომ მისთვის არავითარი სიამოვნება არ მოყვლოთ. თუმცა კარგად ინახვდენ მეფე სოლო-მონს, მაგრამ მისმა მოკეთებებმა ურჩიეს, რომ იგი როგორმე გაქცეულიყო. ამ განძრახვით მეფემ 10 მაისს 1810 წელს ჩევულებრივზე უფრო ადრე ივა-სოში, წატილა საწოლი თავის, საღაც თავის ქვეშა-გებში დაწვინა თავის მოსამსახურე, თვითონ კი ჩაიცვა თავისი მოსამსახურის ტანთსაცმელი და გა-მოვიდა საზოგადო ხალაში, ყარაულებმა, რომელნიც კარგებთან იღვნენ, ვერასფერი შენიშვნეს და ვერ იცენეს მეფე. შემდეგ მეფემ აიღო ხელში წყლის ჭურჭელი და წყალზე წავიდა, ყარაულმაც თავისუფ-ლად გაუშვა იგი, რადგან მოსამსახურე ეგონა. კა-რებთან მეფეს დაუხვდა იმერელი დესტრინკი, რომელ-მაც მეფე ზასტავამდის გააცილა. აქ მეფეს მიეგებნენ ზოგიერთი მისი ერთგულნი თავადები. მეფის გაპარვა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყეს, მაგრამ გვიანდა იყო. მეფე ახალციხეს კიდეც გაცილდა და გადვიდა სათათოებში. შემდეგ მეფემ განძრახვა იმერეთის აჯანყება, მაგრამ ამით თავის განძრახვა ვერ შეა-რულა. იგი დაამარცხეს 1811 წელში და ამიტომ მეფე გაიქცა ტრაპეზუნდში, საღაც კიდეც გადაიცვალა 1815 წელში ღირსებით სილარიზებში.

ამ არეულობის დროს ძლიერ გაჭირებული მდგომარეობაში იყო თავადი ზურაბი. მართალია, ის მომხრე იყო რუსებისა, მაგრამ ამავე დროს მეუე სოლომონის წყენასაც ძლიერ ერიდებოდა, რადგან დიდი მეგობარი იყო მეფის, რომლსაც უხვად ჰყავდა დაჯილდოებული ზურაბი; ამასთან თ. ზურაბი ნათე-სავიც იყო მეფისა. ამ დროს მეფესონ განუშორებ-ლად იყო ზურაბის უფროსი შეილი თავადი სიმონი. ამიტომ მეფის სოლომონის გაქცევის შემდეგ ზურაბი ძლიერ ორპირულად იქცეოდა და ასეთი ქცევა ზუ-რაბისა არ მოსწონდათ იმერეთის შმართველებს. რომ თავადი ზურაბი გულითადი მომხრე იყო რუსებისა და მათ უწყობდა ხელს, ეს სხანს მისი უნკროსი შეილების მიტროპოლიტი დავითის და თავად გრიგო-ლის მოქმედებისაგან. მიტროპოლიტი დავითი და თ. გრიგორი იქცეოდნენ თავისი მამის რჩევის თანახმად. 1810 წელში, როცა უმაღლესი მანიფესტის ძალით მეფე სოლომონს ლალატისაუფის ჩამორტაუფა შეუტანა, მიტროპოლიტი დავითი იმყოფებოდა საწერეთლოში, სადაც პირველად მან მიიღო ფიცი რუსეთის იმპე-რატორის ქვეშევრდომობაზე და ხალხსაც ურჩია მიებაძა მისი მაგალითისათვის. თავადი გრიგორიც ძლიერ ცხადად და გულის წმიდით იქცეოდა. ის ეწყოდა რუსეთის ჯარს ხალხის დამშეიღების საქმეში, შოთარდა ჯარისათვის სურსათს: «მოდინახე» ცხის აღების საქმეშიაც დიდი დახმარება აღმოუჩინა გრი-გოლმა რუსებს. ამ სამსახურისაბეის მიტროპოლიტმა დავითმა 1811 წელს, მაისის თთვეში მიიღო უმაღ-ლესი რესკრიპტი და ძვირფასი ქვებით მორთული პანაგია, თ. გრიგოლიმ მიიღო მაიორის ჩინი, ოქროს ხმალი, წმ. ანნის ორდენი მესამე და მეორე ხარის-ხისა. თ. ზურაბს ებოძა გენერალ-მაიორის ჩინი, დაენიშნა პენსია 1200 მანეთი, ჯამაგირი ჩინისამებრ და ამის გარდა ზურაბმა მიიღო წმ. ანნის პირველი ხარისხის ორდენი.

(შემდეგი იქნება).

„მუგადი“ - ს კონკრეტულდებია საფ. ღორეშიძემ თავის მიწით კი ვერაფერი გააძ-ლებსო“, რომ იტყვიან, სწორედ მართალია. მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ცოცხალი კაცის გული ყველაზრით გაძლება და შევი მიწით კი ვერასოდეს. ყოველი კაცი იმას ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მიწა ჰეიძინოს და არაფერ უსამართლობა-უსინიდი-სობას არ ერიდება მიწის შექნისათვის. სხვისი აღი-ლის დაპატრონება, სახლეარხე გადაცილება და ამის გამო ჩხუბი, კაცის კვლა და დაუსრულებელი დაგა-საჩივარი, თითქმის, ყოველ დღიური მოვლენა ჩვენში. განა ცოტაა იმის მაგალითი, რომ კაცი სხვის აღიღს დაპატრონებია, ან საზღვარზე გადაცილებია. ამაზე დავა ატეხილა და, ცდენას გარდა, ათი იმ ადგილის ფასი დახარჯულა საჩივარში. ამის დასამტკიცებლად ტუკასხელ-ცხრა ამ შემთხვევას, რომელმაც საიჭიოს გამგზავრა აზნაური ს. ორჯონიშვიდე და გლეხი გი-რეგი გოგალაძე. დიახ, ეს ორი პატიოსანი და გმრკოვლი კაცი სწორედ «შევი მიწის» მიზეზით გა-მოცხოვენ ამ წუთი სოფელს. აი საქმე როგორ იყო:

გლეხი გიორგი გოგალაძე სიყრმიდამ ბატონის თჯახში იყო მოსამსახურედ. როცა გლეხები განთა-ევისუფლდენ, გიორგი მოცილდა ბატონს, მოჯამაგი-რობა დაიწყო, დიდი წევა-დაგვეით შეაგროვა 『თავის სახსარი』 და მებატონისაგან მამა-პაპისეული აღი-ლო შეისაუტრა. გიორგის ადგილზე სხვა ცოლს შე-ირთავდა და თჯახობას მოკერდებოდა, რადგან გლეხ-კაცობაში იმისთვის მამული ბერების არა ჰქონდა, მაგ-რამ მან განდევილიერი ცხოველება იირჩია და თავის ერთ საუკეთესო ყანაში, სოფლის განაპირის, ერთ გამოქვაბულ კლდეში დაბინავდა. ამ გამოქვაბულში გიორგი მყენდროდ და, იმისი სიტყვით, ბერდინერად ატარებდა ცხოველებს. გიორგი ისე შეეწირა ამ ბუ-ნებისგან აშენებულს სახლს, რომ უკეთეს სადგომში სულიერებულდა და ერთ დღესაც ვერ გაძლებდა. აი ეს იყო მიზეზი, რომ გიორგიმ თითქმის ოცდა-სუთი წელიწადი მარტოდ მარტო გაატარა ამ გამო-ქვაბულში. ის მუშაობდა ვენახებს, ყანებს და მო-სავალს ზოგს ყიდდა, ზოგს თვითონ ხმარობდა და



